38 /3
1916

კვირა, 24 აპრილი
№ 17 — 1916
ფასი 10 კ.

წელიწადი მეოთხე

მიიღება ხელის მოწერა 1916 წ. შურ.
„თეატრი და ცხოვრება“
წელიწადი მეოთხე. (იხ. მე-4 გვ).

დამსახურებული მსახიობქალი
ვ. ვ. საფაროვ-აბაშიძისა
(ამ ფამად ავადაა)



უილიამ შექსპირი
ინგლისის სახელგანთქმული მსოფლიო დრამატურგი
(გარდაცვალებიდან 300 წ. შესრულების გამო).



მიგუელ სერვანტესი
ისპანიის სახელგანთქმული მწერალი „დონ კიხოტის“ დამწერი.
(გარდაცვალებიდან 300 წ. შესრულების გამო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორშაბათს, 25 აპრილს, სახალხო სახლში

ჰამლეტი (ი. ზარდალიშვილი)

(უ. შექსპირის გარდაცვალებიდან 300 წ. შესრულების გამო).

თეატრი და ცხოვრება

№ 17

ყოველკვირეული სალიტერატურო ჟურნალი

წელიწადი მეოთხე

რედაქციის განცხადება

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანი“ს სტამბაში ყოველ ჟამს. ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანი“ს სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41. მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили

№ 17 | კვირა, 24 აპრილი | 1916 წ.

24 აპრილი

ქართული თეატრის ტრაგედია

ბასრი ხმალი გქონდეს—ვერ კი აქრევინებდე, სამშობლო გქონდეს—თავშესაფარი კი გენატრებოდეს, ერი შემოგყურებდეს—პირში წყალჩაყენებული კი ვერასეუბნებოდე,—განა უდიდესი ტანჯვა არ არის?!

და დღეს სწორედ ასეთ მდგომარეობაშია ქართული თეატრი...

მოთხოვნილება დიდი და—მიმწოდებელი ან არა, ან უკბილო!..

როდესაც წარმოიდგენ, რომ ეროვნული ეკლესიის, სკოლისა და ოჯახის დამკარგველი ქართველი დღეს მელპომენის ტაძარს-ღა მისჩერებია და მუნ კი მადლიან სამსახურის მაგიერ ხშირად პამპულობაა, გული ბოღმით გევსება...

იქნება სთქვათ ნიჭიერი და მცოდნე ქურუმნი, სცენის ნამდვილი ოსტატნი არ მოგვეპოვებიანო?

ღირსეული და საამაყო მსახიობნი გვყავნან, მაგრამ უღირს მდგომარეობაში ჩაყენებულნი თავის ხელოვნებასაც უღირს ჰყოფენ...

ხალის-დაკარგულნი, გულგატეხილნი ან აქეთ-იქით იქსაქსებიან, ან ხელჩაქნევით-ღა „თამაშობენ“.

დღეს ეს მოვლენა თუ საჩოთიროა, ხვალ სამწუხარო და თავსაცემი გაგვიხდება ..

არა თუ თბილისში, თითქმის ყველგან — ქუთაისში, ბაქოში, ბათომში, ჭ ათურაში, ხაშურში თუ სხვაგან, ფრიად არა სასურველ პირობებში იმართება ეგრედწოდებული წარმოდგენები...

და ვაი ამ წარმოდგენებს!

არც მხატვრობა, არც ხელოვნება, არც ესთეტიური სრულქმნა...

ყველაზე მეტად კი თბილისის დრამატიული დასი და აქაური ქართული თეატრია საზარელ პირობებში...

ან კლუბში პამპულობა—ან ერთის შებერვით კლასიკურ-ისტორიულ პიესათა მოფიშფიშება!..

ფაფა ხომ არ არის!..

საჭიროა ჩვენი თეატრის აღდგენის სვებედს უფრო ბეჯითი ყურადღება მიექცეს...

კულტურულ საზოგადოებათა კავშირიც მოვალეა ამ საქმეზე იზრუნოს რამე...

უბრალო საუბარი უბრალო მკითხველთან

V

ჩვენ დავინახეთ, რომ კავკასიის ერთა წარმატებისა და კეთილდღეობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სრული თანხმობა და ძმურ-მეზობლური განწყობილება ამ ერთა შორის. სომეხთა მსხვილი ბურჟუაზია ანუ პლუტოკრატია არღვევს და ფეხქვეშ სთელავს ამ მეგობრულ ურთიერთობას და თანხმობის ნაცვლათ უთანხმოება დღითი დღე იზრდება და ღრმავდება.

შედეგები იმ ვიწრო ნაციონალისტური

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკისა, რომელსაც ჩვენში სომხის პლუტოკრატია აწარმოებს, დემოკრატიის წრეებშიაც გადადის და დაუნდობლობა, სიძულვილი და მტრობა ფართო მასსაშიაც იკიდებს ფეხს.

როგორ, რა გზით, რანაირათ უნდა შეებრძოლოს ქართველი ხალხი სომხის პლუტოკრატიის მიგნებელ პოლიტიკას?

საკუთარი ბურჟუაზიის გაძლიერებითო, ჰფიქრობს ბევრი.

მე რომ მკითხოთ, სომეხ-ქართველთა შორის ურთიერთობის გამწვავება სწორეთ იმის მაჩვენებელია, რომ ქართველი ბურჟუაზია იზრდება და მსხვილდება.

რაც უფრო გაიზრდება ჩვენი ბურჟუაზია, ეს ურთიერთობაც უფრო გამწვავდება და აშკარაც არის, რომ ეს ასე იქნება.

მსხვილი ბურჟუაზიის დროშა ნაციონალისტურია. სწორეთ ეს დროშა უკავია ხელში სომხის პლუტოკრატიას და ამ დროშით სთესავს ის ეროვნულ შუღლსა და მტრობას ჩვენში.

და როდესაც ჩვენი პლუტოკრატია ამავე დროშას დაიჭერს ხელში, მაშინ ის ძმობასა და ერთობას განამტკიცებს?

საიდან სადაო, წმინდაო საბაო!

ბურჟუაზია ყველგან ბურჟუაზიაა. მისი იდეალი, მისი მიმართულება ყველგან ერთნაირია და ჩვენი მსხვილი ბურჟუაზია იმგვარსავე პოლიტიკას აწარმოებს, როგორსაც სომხის პლუტოკრატია.

— მაშასადამე ჩვენი ბურჟუაზიის გაძლიერება სასურველი არა ყოფილა?—

იკითხავს უბრალო მკითხველი.

მე ამას არ ვამბობ.

პირიქით ჩვენი ბურჟუაზიის გაზრდა და გაძლიერება ფრიად საჭიროა, მაგრამ იმიტომ კი არა, ვითომ ის ზეთის ხილის ტოტს მოუტანდეს კავკასიის ერებს.

ეროვნული ბურჟუაზიის გაზრდასთან ერთად იზრდება ეროვნული სიმდიდრე, ვითარდება ერის საწარმოვო ძალა, იზრდება მუშა ხალხის შეგნება და ჩამოყალიბება, ღრმავდება და ვითარდება კლასობრივი ძალა და ყველა ეს კი ერთად აღებული მთელი ერის მომავლისათვის ფრიად დიდ მნიშვნელოვანია.

აი ამიტომ არის საჭირო ჩვენი ბურჟუაზიის გაძლიერება.

უბრალო მკითხველის თვალში ბურჟუაზიის მიზანი, გზა და ხიდი მარტო ხალხის აყვლეფაა; სომხის ბურჟუაზია გაყვლეფავს ჩვენს ხალხს, თუ თავისი საკუთარი,—ეს სულ ერთია უბრალო მკითხველის წარმოდგენით:

ოსმანა და ალია ორივე თათარია.

ნამდვილათ კი ეს ასე არ არის, რაც ძალიან კარგათა აქვს გამორკვეული და შეგნებული სომხის დემოკრატიას.

აიღეთ შავი ქვის წარმოება ჩვენში.

ის უმთავრესად უცხო ბურჟუაზიის ხელშია; აქ არიან ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები. მოგებულ კაპიტალს ესენი ჩვენში კი არა ტოვებენ, არამედ აგზავნიან თავთავის სამშობლოში ე. ი. ქართველებს ჰყვლეფავენ და თავის ქვეყანას კი ჰმატებენ.

ქართველი ბურჟუაზიაც რასაკვირველია ქართველი ხალხის შრომით შეიძენს სიმდიდრეს, მაგრამ ამ სიმდიდრეს ის აქვე საქართველოში დასტოვებს და ამ გზით ეროვნული სიმდიდრე გაიზრდება.

ინგლისელი გაყვლეფავს ქართველს, სომეხი თუ ისევ ქართველი, ამ გაყვლეფილისათვის, რასაკვირველია, სულ ერთია, მაგრამ მთელი ქართველი ერის მომავლისათვის კი სულ ერთი არ არის.

მშრომელი ხალხის იდეალია სრული თანასწორობა და ერთობა საერთო შრომაზე დამყარებული.

დიდი კულტურა, დიდი ტეხნიკა და დიდი ეროვნული სიმდიდრე,—აი რა არის საჭირო ასეთი წყობილების არსებობისათვის.

თვისთავათ ცხადია, ამ ეროვნულ სიმდიდრეს ჰქმნის მუშა ხალხი, მაგრამ მას ისაკუთრებს ბურჟუაზია და აგროვებს.

და მრავალ ეროვნულ სიმდიდრეს კი როცა იქნება ისევ მთელი ერი დაისაკუთრებს და გამოიყენებს.

რა მნიშვნელობა აქვს ამ გარემოებას სომეხ-ქართველთა ურთიერთობაში, ამას ახლავე დავინახავთ.

სომხის მსხვილი ბურჟუაზიის ვიწრო ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციონალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ შეერთებულის ძალით უნდა გაილაშქროს სომეხ-ქართველთა დემოკრატიამ.

კავკასიის ერთა შორის მეგობრული კავშირის განსამტკიცებლათ აუცილებლად საჭიროა, კავკასიის ერთა დემოკრატიის ერთათ, თანხმობით მოქმედება. ამ თანხმობას, ამ ერთათ მოქმედებას სამწუხაროთ ისევ სომხის დემოკრატია ღალატობს და, როცა კი საერთო კეთილდღეობა მოითხოვს სომხის პლუტოკრატიის წინააღმდეგ გალაშქრებას, სომხის დემოკრატია თავის პლუტოკრატიას ემხრობა და ქართველ დემოკრატიას ზურგს შეუბრუნებს ხოლმე.

სომხური დემოკრატიული „პაიქარი“ არ უარჰყოფს, რომ სომხის დემოკრატიის უბანი — ავლაბარი საქალაქო არჩევნების დროს სოლოლაკელთა კარნახს ემორჩილებოდა.

გაზეთი ამ მოვლენას სომხის დემოკრატიის პოლიტიკური და საზოგადოებრივი შეუგნებლობითა ხსნის.

ჩემის აზრით კი მიზეზი უფრო ღრმა არის.

სომხის დემოკრატია ჩვენში მოკლებულია საკუთარ სამშობლოს; საკუთარ სამშობლოსავე მოკლებულია ჩვენში მცხოვრები სომხის მსხვილი ბურჟუაზია.

სომხის მსხვილი ბურჟუაზია ჩვენში აგროვებს ეროვნულ სიმდიდრეს და ცოტათ თუ ბევრათ დღესვე ეხმარება სომხურ საქმეებს.

ყოველივე ეს იმდენათ აკავშირებს საკუთარ სამშობლოს მოკლებულ სომხის პლუტოკრატიას და დემოკრატიას, რომ დემოკრატია ვერ ახერხებს პლუტოკრატიის წინააღმდეგ გალაშქრებას და, როცა საერთო მშვიდობიანობა ითხოვს ქართველი დემოკრატიის გვერდში ამოდგომას სოლოლაკელთა წინააღმდეგ, სომხის დემოკრატია ქართველ დემოკრატიას შავ კენჭს აწვდის მეგობრობის ნაცვლათ და საკუთარ პლუტოკრატიას კი თეთრს.

ამ გვარად სომხის დემოკრატია ნებაყოფლობით თუ უნებლიეთ იზიარებს და ემხრობა იმ შუღლისა და მტრობის მთესველ პოლიტიკას, რომელსაც ჩვენში სომხის პლუტოკრატია აწარმოებს.

ასე იყო დღემდე.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ სომხის სამღვდელოება ძლიერია და ვიწრო ნაციონალისტური, რომ ის განსაკუთრებულ როლს თამაშობს სომეხთა ცხოვრებაში, დიდი გავლენაც აქვს მოპოვებული სომხის დემოკრატიაში, ამ დემოკრატიის პოლიტიკის შეცვლის იმედი არ უნდა ვიქონიოთ ახლო მომავალში მაინც.

ჩვენ თუ სომხის დემოკრატიისაკენ წავიწიეთ და მან ჩვენსკენ წამოწევის მაგიერ საკუთარ პლუტოკრატიას მიაშურა, ამით ფონს ვერ გავალთ და სასურველს მიზანს ვერ მივაღწევთ.

მე კერძოდ უფრო მეტ იმედს ვამყარებ თათრებისა და რუსის დემოკრატიაზე.

თუ ჩვენი და სომხის დემოკრატიის თანხმობით მოქმედებას ზემოთ დასახელებული მიზეზები აფერხებენ, სამაგიეროთ ჩვენი, რუსისა და თათრების დემოკრატიის ერთათ, თანხმობით მოქმედებას არაფერი არ ელობება წინ.

საჭიროა მხოლოდ მეტი მუშაობა და მეტი შეგნების შეტანა თათრების დემოკრატიაში.

რასაკვირველია აქედან ის დასკვნა კი არ უნდა გამოვიყვანოთ, ვითომ ჩვენთვის საჭირო აღარ იყოს კავშირი სომხის დემოკატიასთან, — ფრიად საჭიროა და სასურველი და რა გზასაც უნდა ადგეს სომხის დემოკრატია, ჩვენ მაინც მუდამ და ყოველგან ამ კავშირის საჭიროებაზე უნდა ვუთითებდეთ მას.

მეფე ვარ, ლირი!..

მეფე ვარ, მეფე! მეფე ვარ, ლირი
დღეს უსახლკარო და უბინაო
დავძრწი, დავეძებ მყუდრო სავანეს,
რომ სული სადმე დავაბინაო!..
თუმც დღეს ის არ ვარ, რაც გუშინ ვიყავ
და დღეს რაცა ვარ — არც ის ვიქნები,
ხვალ, ზეგ, შემდეგში არარად ქმნილი
არარაობად გარდავიქმნები;
თუმცა დღეს ჩემს ბედს — არარაობას
უცრემლოდ ვგლოვობ, უცრემლოდ ვტირი,
მაგრამ იცოდეთ, მე მაინც დღესაც
წარბშეუხრელი მეფე ვარ, ლირი!..

ვეფხო-ფშაველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალ-გადუხდელი *)



მოსვენება მხოლოდ მკვდრებს შუაფერის, ცოცხლებს კი გარჯა და ტანჯვა!.. ვ. გუნია

ზემოთ მოყვანილი სიტყვები იმ კაცმა სთქვა, რომელზედაც ითქმის სხვისა მაზიარებელი მოკვდა უბიარებელია!

ეს კაცი ვალდებულ გუნია!

რომელ ქართველს არ გაუგონია სახელი მისი, რომელ სასოგადოებრივ ასპარეზზე არ უნახავთ იგი?!

80-იან წლებს აქეთ იგი ჩვენს სასოგადოებრივ ცხოვრებაში მხურვალედ მონაწილეობს, როგორც სასოგადო მოღვაწე, მწიგნობარ მწერალი, დრამატური და მსახიობი—ყველგან მუშაობი, მუდამ თავგამოდებული, დაუღალავი...

ვ. გუნიას მოღვაწეობის შესახებ ჩვენ უკვე წერილი გვქონდა მოთავსებული წინა წლის „თეატრი და ცხოვრება"-ში (1910 წ. № 8) და მის ბიოგრაფიულ ცნობებს აქ ადარ გავიმეორებთ, მოკლედ კი ადვნიშნავთ, რომ თითქმის 35 წელიწადია, რაც იგი ჩვენი ერის წინსვლასა და კეთილშობილების საქმეს ემსახურება..

ამ საკმო სამსახურში წელთა სიმრავლით ჭაღარით შეიმოსა, კარნა შეუსვენებელი მუშობით იმდენი მანიც ვერ შეეძინა, შავი დღისთვის თავი თვისი უზრუნველ ეყო...

მოედი მისი ქონება შეხმარდა კაზეთსა და წიგნთ კამოცემდმობას...

იგი ერთი თვალსაჩინო ნაამაგარი შეადთაგანია ჩვენი ქვეყნისა..

ვ. გუნია იყო, რომ ჩვენს დრამატიულ დიტერატურას სამოცამდე პიესა შესძლენა, ორიგინალური თუ კალმოკეთილებულ-თარგმნილი.

ვ. გუნია იყო, რომ როდესაც ქართველ ხალხში სურთიანან და სასარგებლო ცნობათა მიმწოდებელი წიგნების ბეჭდვანებაც არ იყო, იგი მოედი ათი წლის განმავლობაში ეოველ წლიურად ადგენდა და ბეჭდავდა ვეებს ტანიან დასურათებულ დიტერატურულ კალენდრებს, გემოიანად შედგენილს, და საქართველოში ათი-ათასობით ჭეფნდა. .

ვ. გუნია იყო, რომ 1896 წ., როდესაც ქართველების მხოლოდ ერთი დღიური კაზ. „ივერია" გვქონდა, ისიც თითქმის უფრო მოწინავე—მაღალ სასოგადოებისათვის ხელმისაწვდენი, მან დაარსა სახალხო გაზეთი — „სახალხო ფურცელი", რომელიც ბოდის ქართველი ერიგენულად დემოკრატიის ორგანოდ კალდაქცა და დღეს მისი მოგალეგენო კაზეთი საკმოდ გავრცელებულ კალოტცემად თვალდება...

ვ. გუნია იყო, რომ სასოგადო-საზეთმონადმო, ერის დღესასწაულთა თუ ბედოვთ, ქვეყნის ჭირვარამთა გამომხატველად წელეულებთ დიდის მოხერხებით ხელმძღვანელობდა...

ხოდო როგორც მსახიობი, ინტელიგენტი, მუდამ ფხიზელი მსახიობი, სცენის თავსანი, დასის შემდგენ-კამეგ—იგი ხომ საყოველთოდ ცნობილია...

კამეგმეგულმა მუშობამ, საამობდო სცენის მძიმე პირობებმა, ჩვენებურმა სასოგადოებრივმა კეუტანდობა-კინკლაობამ თითქოს სხეულებრივ მოგვხარეს, მაგრამ სულით, ბედით დღესაც ჭაბუკური რწმენითა და მამულიშვილური კრძნობით კასუდგმულებული ჩვენის ქვეყნის წინმსვლელობისთვის თავგამოდებულთა ბანაკში სდგას...

და ნუ თუ ვალს ადარ გადაგუხდით!

ჩვენი სასოგადოება—ხალხი მუდამ კუ-

*) ეს წერილი გასული კვირის ნომერში ვერ მოთავსდა. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსვამ ჯიდდოვებს ხოდმე თავის ნაამაგარ შვილთ და, იმედია, ერც ახლა დაიწყვს უკან...

ოდონდ ვისურვოთ... დაე, თოფ-ზარბაზნებების ჭექა-ქუხილში ჩვენი სადღესასწაულო ხმაც გაისმას, ხედოვნების ქურუმისადმი კულ-თბილად მიძღვნილი... ამითი კიდევ ერთხელ გამეფნოთ დაკარგულ კულის ადამიანთ, რომელთაც თითქმის მთელი მსოფლიო სისხლის ტბად გადაქცეულ, რომ ბოდიშს მაინც ხედოვნება და მისი ქურუმნი ადამიდდებენ ადამიანთ...

ქართველთა ძენო, ჩვენი წინსვლის მონატრენო და ხედოვნების ყვალა ჭეშმარიტნო თაყვანის მცემელნო, შემოკრბით და მოწწეებით ბატივი ვსცეთ ამას, რომელიც მარად არა თუ სიტყვეთ, ერამედ სქემითაც კვეტკიტებდა, რომ საქვეენო შრომისა და მუშაობის ყამს „მოსავენება მხოლოდ მკვლრებს შეჰფერის, ცოცხლებს კი გარჯა და ტანჯვა“. ჩვენის სიყვარულით ტანჯვა შეეუმსუბქოთ, ხოდო გარჯა კი გაუორკეტოთ ჩვენსაგე სკეთიდოდ...*)

იოსებ არიმათიელი

---

*) ეს წერილი დასაბეჭდათ გამზადებული გვქონდა, როდესაც გაზ. „საქართველო“-ში წაკითხეთ შალვა დადიანის წერილი ამავე საგნის შესახებ. პატივცემული ავტორი გვირჩევს, საშემოდგომოდ გაიმართოს „ვ. გუნიას სამადლობელი საღამო“. ჩვენის აზრით, მიუხედავად დღევანდელი პირობების, ვ. გუნიას მოღვაწეობის აღნიშვნა უფრო ფართოდ უნდა მოეწყოს და მასში მთელმა საქართველომ მიიღოს მონაწილეობა.

ი—ელი

ორშაგათს

ჩვენს ქალაქში ბევრი სულით ავადმყოფი დადის თავისუფლად. ამათთვის არავინ ზრუნავს.

ორშაბათი მძიმე და სახიფათო დღეაო სამოგზაუროოთ, მაგრამ არ დავერიდე, უფრო კი ვერ დავერიდე, რადგან საქმე მიწვევდა და ორშაბათს, აღდგომის მეორე დღეს, საღამოს 6 საათი იყო, რომ ქალაქისკენ წამოვედი.

ოთხი ვერსის მანძილი კიდევ დამრჩა გასავლელი ქალაქამდი და ბინდი უკვე წამოწვა.

არც დამწევია ვინმე მგზავრი, არც ვისმე მე დავწევივარ და არც არავის წინ შევხვედრივარ.

მყუდროებას მხოლოდ რიონის შხუილი არღვევდა...

წინ ფეხის ხმა მომესმ. ახლოსაა. არ გასული წუთიც და ვიცანი ერთი სულით ავადმყოფი, რომელსაც ქალაქის ქუჩებში ყოველ დღე ვხვდები. ის მაღალია, ახოვანი და მერე გიჟი... ღამე, მარტოთ-მარტო, გიჟის შეხვედრა... აა! როგორია?!... გაგონილიც მქონდა—სწორეთ ამ გიჟმა ამას წინად ვიღაცას თავი გაუპო კეტოთაო.

გზა გადამიპრა, მიცნო.

— აბა, ბატონო მ—ო, გავაბოლოთ! პაპიროსი გაქვთ?!...

— როგორ არა!—მივაწოდე მალე პაპიროსი და ასანთს გავკარი...

ჯერ ბნელაშივე ვამჩნევდი მის ამღვრეულ თვალებს და ახლა, სინათლეში უფრო გავარკვევ, როგორ მაკყეტდა ამ თვალებს...

— სეირნობთ!—მკვახეთ და მკაფიოდ ჩამკითხა.

— არა, სოფლიდან მოვდივარ. თქვენ?

— მე რა?—მე აი, წამოვედი, ტანი უნდა დავიბანო.

— შე კარგო კაცო, ტანის საბანად ამ სიშორეს. ქალაქში სულ რიონი არ არის?!...

— სწორედ იმ ჭკვაზე ვარ, რომ ქალაქში გაბინძურებულ წყალში ტანი ვიბანო. აქ სუფთაა წყალი. წამიდი შენც, ვიბანაოთ ერთად.

მაგრად ხელი ჩამკიდა მკლავში. ვიგრძენი, რაც ღონე ჰქონდა

— მე არა, ვერ ვიბან, გაოფლიანებული ვარ... გავცივდები... მერე საქმეცა მაქვს, მეჩქარება.

— რას ჩმახავ, ოფლს ცივი წყალი გაგაცლის... თუ გეჩქარება, მით უკეთესი:— ცურვით უფრო მალე არ ჩავალთ ქალაქში?! წამოდი!..

— ცურვა არ ვიცი...

— არ იცი—მე ვიცი! მხრებზე შეგისვამ და ისე მიგაცილებ სახლამდი...

რა გუნებაზე დავდგებოდი! მეშინოდა გაყოლისა, მეშინოდა გაძალე'ის კიდევ უფრო. და გაძალება რომ არ შემეძლო, ვგრძნობდი. ფონით დამძლევდა. ძალაუნებურად ნებას დავეყენი. მალე ჩავედით მდინარის ნაპირას.

— აბა, გაიხადე, გავგრილდეთ!..

თითონ ერთს წამს გაიხადა ტანთ. მის კვრივს კუნთებს ვამჩნევდი უფრო გრძნობის თვალით, თუმცა ნახევარი მთვარეც საკმაოდ ანათებდა და ვხედავდი, ვატყობდი, რომ ფუჭი იყო ჩემი გაძალება.

— მე მზათა ვარ, რას შვრები, არ მოდიხარ!..

— ახლავ, ცოტა ოფლი შემაშრეს...

— არა, ოფლი სისულელეა. შენ იქნება გეშინია მართლა, რო მე ცურვა არ ვიცი. აბა, მიყურე!

გადახტა. არ გასულა ორი წამი...

— მე აქა ვარ!.. დამიყვირა მდინარის მეორე ნაპირიდან.

დრო ახლა მქონდა. უცბათ წამოვხტი და მოუსვი ქალაქისკენ.

— მომატყუე! აბა, ენახოთ, შენ ფეხით, მე ცურვით. წინ დაგიხვდები...

გავრბოდი. ისიც გადმოხტა წყალში, თან ხშირად წამოიყვირებდა:—მომატყუე ვითომ!— წინ დაგიხვდები!—ვერ წამიხვალ!—

ამ ძახილით ვგრძნობდი მართლაც, რომ ის ჩემზე წინ იყო, უახლოვდებოდა ნაპირს, შეეძლო, საცა სურდა, გამოეცურა და წინაც დამიხვდებოდა.

არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა. შეწყვიტა კი ძახილი...

— მეც აქა ვარ! ხა! ხა! ხა!—მომესმა საზარელი ხარხარი .. გზის პირად გასწია ბუჩქნარი და თავი გამოყო ჩემმა გიუმა...

— პაპიროსი მომეცი, პაპიროსი!

უცბად მივაწოდე...

— აქ დამიცადე .. ჩავიცვამ და ახლავე მოვალ!..

დავუცდიდი — როგორ გგონიათ?..



დაუჯერებელი ამბები

I

კოფეტუდან, კოფეტუდან!

კოფეტუდან რკინის გზის მოსამსახურენი!

მოდით ერთიანად, დიდი და პატარა, ეფოგედოგის მტუანი შეიარე და ეფოგედოგის მართალი ბობოდენები...

კმარა! რაც იყო, იყო!.. ძალიან ტკბილი დრო იყო, ისე მოდიოდა ფუდი, თუდას ვერ ვასწრობდით და ვეღარ კაკუტდით მატდურს... შეურცხვით, ინტენდანტებზედ უარესად კოფეტეხეთ სახედი .. მაგრამ ჩვენც კეტნი ვარ, ქუდი გეხურავს და გვინდა კეტლიდან ეტლად ეიხსენებოდეთ...

კოფეტუდან და ერთხმად დაუდგენიან:

ხმამად შეკვერეთ, რაც ეკიდეთ, ჩვენი სინიდისის ოდენი სასჯელი გვეწოთ სასქოსაც და სიაქიოსაც, თუ დდეის შემდეგ კიდევ ეადეთ ქრთამი.

II

კოტე მეუაშვილს უკრძენია, რომ ამის ბოეშის, ჯერედ დუბეკდეგ ბოეშის კმირად შეფვ ერეკდეს მაგიერად ძალიან კარგად კამოდგება დეგით ბატონიშვილი, სოდომონ მსეჯული, დარიძე, თამაზ მეუაშვილი, ივანე სარდალი, ქეთეკან ბატონიშვილი, ქეშიერ დარდიმანდი და მრავალი სხვა და, ამბობენ, დდეკანდედ ჩვენ მოდეკეწოთ სთრეკდად თეგის ბოეშაში სხვის ვისმე ბაბამსა. რაც შეეხება მეფე ერეკდეს ადგენს, სარეთეკდოს სხეადოკანი მეფე უჩემოდ ადგენს, ოდინდ შემდეგშია.

III

ეს კი ქადებმა მაამბეს, ჩვენმა კანთდებადმა „ინტედიკენტმა“ ქადებმა:

შეგვიარენით ქალები, მრავალნი ვიყოთ და ჩვენი ქვეყნის კეთილებაზე ჩამოგვიგდეთ დაბარაკი.

წარმოიდგინეთ, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, მოელი სალამო ისე ვიკამათეთ, არც არავინ კბეგიკელავს, არც არავინ კბეგიკზრავს... ისე კინოჯეთ, სასჯელ საკნის იქით ხმა-ერინტი არავის დაუძრავს.

სასჯელი საკანი კი მეტად დიდი და მნიშვნელოვანი კეგონდა,—ჩვენი ქვეყნის კეთილება საზოგადოდ და კერძოდ ამ ოთახობისა კამო.

ბევრი ჯალის და კამათის შემდეგ შეგვთანხმდით, რომ წარსულმა საუკუნემ ხელიდან გამოგვიტანა მამაპაპეული მამული და ჩვენმა სამეუფოროდ სწორედ იმავე საუფლებით დაკვდეს, რომელითაც ეგრეთვე ჩარჩები ვედურ ხალხს ოქრისა და ვერცხლის სტინტალეკენ ჩალის ფასად დირებულ არაფრში და რადგ ზიზილ-პიპილებში. წარსულმა საუკუნემ ჩვენც ეს ზიზილ-პიპილები შემოგვიტანეს და ჩვენც ისე მიეცვეოდით, თითქო ბავშვები, ეველაფერის უნასავი ვედურები ვეფფალიეთ. დრო-კამოშვებით „ასალ ასალი“ ზიზილ-პიპილები შემოგქონდა ამ „კანონალებს“, ეგრედ წოდებული მოდები და თან ქეიფი და დროს კატარება. კეგვიტეტა „კანონალებულმა ტანოვრებამ“, ჩაგვითრია მორეულში და ისე კეგფალანგეთ სუკუნეთა კანმეფლობაში წინაპართა სისხლიდან კეფდენილი მამული, რომ დღეს-ხვალ, თუ ეკუფაზე არ მოვეედით, ბოკანოდ დაგრჩენით და ჩვენს სკეთარ ქვეყანაში უტეხონი ვიქნებით.

ამიტომ, ეს ერთხმივ დაკვდეგინეთ, უარეფოფთ ეოფვედეკვარ მოდას, ქეიფს, უსაქმურობას

ეროლიკულ ბაზაზე

(გაგრძელება.)
იხ. „თ. და ც.“ № 16

გაიანე. ზოგიც დღეს მოისმინე! რა ქნას საწყალმა, როცა მოგიჯადოებია! (იტინას)

მაკ. ნეტავი მე რაღა მინდა! ეგ კი არა, განო, დღეს არ შემიძლიან არავის ნახვა, შეადღემდის ძლივს ავდგები და სწორედ გითხრა დაქანცული ვარ. შენც იკმარე წვეულების მართვა, დავრჩეთ ჩვენთვის, პატარა ხანს სული მოვიბრუნოთ.

გაიანე. დღეს მაინც არავინ იქნება, გარდა ქალალდის მოთამაშეთა. არჩილს და დარისპანს უკვე გაუთენებლივ ჩაუსვამთ როსტომი და იასონი. როსტომ ხომ, უეჭველია, ჯიბე ცარიელი ადგება.

მაკ. ნუ გეშინიან, არც იასონია მარჯვე მოთამაშე. (შემოდგ გოგო)

გოგო. (კაიანეს) ქალბატონო! ბატონი გკითხულობთ!

გაიანე. კარგი, წადი, (გოგო კაკლის) ცოტა ხანს მარტო დაგტოვებ, მაკო!

მაკინე. არა უშავს რა. წადი შენს საქმეს მიხედე. (კაიანე კაკლის. შემოდის ოქრო)

III

მაკინე და ოქრო.

ოქრო. ოჰ, მაკო! ამდგარხარ კიდეც და მე კი ჯერ ისევ ლოგინში მეგონე. (ხელზე ჭოტნის)

მაკ. ეს კი იყო, შენ გახსენებდი! სად იყავ, გენაცვალე?

ოქრო. მე და ყმაწვილებმა მინდვრისკენ გავიარეთ... სხვა, შენ რას ამბობ, არ ემზადები მეზობლების სანახავად?

მაკ. დღეს არ შემიძლიან, რაღაც კარგად ვერა ვარ.

ოქრო. მაშ არც საღამოზე წამოხვალ სასეირნოდ?

მაკ. არა.

ოქრო. არა, მაკო, წამო, ნუ ჩაშლი ჩვენ დაწყობილობას. ამბობენ, მშვენიერი ადგილია თურმე იქით. შენ და განო ეტლით წადით, ჩვენ კი ცხენებით გამოგყვებით.

მაკ. ვინ თქვენა?

ოქრო. ყმაწვილები და ქალები. ძალიან კარგი იქნება, რომ წამოხვიდე. კარგ დროს გავატარებთ, ერთს კარგ ადგილს ჩამოვხტებით და ვიცი ჩვენი ყმაწვილები პატარას იქეფ იფვენ კიდეც. სოსიკოც თარს წამოიღებს.

მაკ. კარგი, რაკი ასე გულით გინდა—უარს ვერ გეტყვი. წამოვალ.

ოქრო. ისე რომ, გადიწვერება თუ არა მზე, ჩვენ ყველანი მზად უნდა ვიყოთ. როსტომმაც ხელი შემიწყო, საუცხოვო ცხენი ამომირჩია. აგერ შაქრო და პალიკო მოსალაპარაკებლად მოდიან. (შემოდიან შაქრო და პალიკო. ხელზე ჭოტნიან მაკინეს)

№ 17

და კეტობრიობის მომავალ სუკუნეების შესახებ ფიქრს და ოცნებას; დავტრიალდებით ჩვენს ოჯახში, ოჯახს და ქმარშვილს მოსამსახურეთა ანაბარად ავარ დავტოვებთ, ავარმედ ჩვენ თითთანვე მოგუფდით და, თუ ერის ძალერება ოჯახის სიმაგრეზედ ერის დამეარებული, ვეცდებით ძველებურად ვცხოვროთ და კვაძალიერთ ჩვენი ოჯახი. რაც შეესება მოდას, უარეოფთ, ეგეზით, ჯვარს ვცვლეთ და ჩაცვეთ მის მიმდევართ! ეგეწამს, რომ შეიძლება ქალს ძვირფასი ტანისმოსი არ ეცვას, მაგრამ მაინც უნდებოდეს. ეგეწამს, რომ ქალი ძვირფასი ტანისმოსით და სამკაულით კი არა, ბერალი დიასებით უნდა ბრწყინავდეს. თუ კაბერდა ჩვენ ჩვენს მოდას შემოვიდებთ, ქართველი ქალის, პატიოსან დიასებლისის ტანსაცმელის მოდასაო.

მოლლა ნასრ-ედდინ

პეტრუჩიო (კ. მესხი)

უ. შექსპირის კომ. „ბერეული ცოლის მორჯულებიდან" (შექსპირის გარდაცვ. 300 წ. მესრულების გამო).

IV

იგინიგე, **შაქრო** და **პალიკო**.

შაქრო. როგორა ბძანდებით, კნეინავ, წუხანდელ საღამოს შემდეგ?

მაკ გმადლობთ. ცოტა დავიღალე.

პალიკო. კნეინავ, თქვენ კი არ აპირებთ წამობრძანებას ჩვენთან ერთად სასეირნოდ?

მაკ. არ მინდოდა წამოსვლა, მაგრამ ოქრომ ისე გულით მთხოვა, რომ უარი ვეღარ უთხარი.

ოქრო. საქმე კარგად არის. ქალებს არ უნდა შევატყობინოთ?

შაქრო. მაშ, კაცო!

პალ. დამავიწყდა, თორემ მარიკას ვეტყოდი და ის სხვებსაც შეატყობინებდა. (კაბადის კნ. კიანე)

გიანე. ოჰ, ყმაწვილებს გაუმარჯოს! (ემაწვიდები მიესალმებიან. მაკინეს მიმართავს) მაკინე, ცოტა ხანს, გენაცვალე, ყმაწვილები მარტოკა დასტოვე, როსტომს ცოტა საქმე აქვს შენთანა.

მაკ. უკაცრავად, ყმაწვილებო, რომ გტოვებთ. ოქრო, არ მოაწყინო სტუმრები.

შაქ. და პალ. არა უშავსრა, ბატონო! მიბრძანდით, მიბრძანდით. (მაკინე და კიანე სახლში შედიან)

შაქ. მოდი, ოქრო, მე და შენ შევიაროთ მაშოსკენ!

ოქრო. რახ ამბობ, კაცო! ჯერ ოთახში სადარბაზოდ არა ვყოფილვარ და ახლა უნდა მივეკერე? რას ეგვანება?

შაქ. ნეტავი შენა, რაღაც ცერემონიებს უნდები! სოფელში ეგენი არ გამოდგება. წავიდეთ ჩვენებურადა-ძველებურადა.

პალ. მაშ ბარემ სხვებთანაც შეხვიდეთ? ხომ იცით ქალების ამბავი? ცოტა ენინანები არიან, გაფუტკიანდებიან და იქნება კიდევაც სულ ჩაფუშონ!

შაქ. რას ჩაფუშამენ! ღმერთმანი, ცხელებითაც, რომ იწკეს მაშო ლოგინში, მაინაც წამოდგება და სიხარულით მოვესლება ცხენს ზურგზე, მეტად ყოჩაღად დაჰყავს. ის, რომ გაავროლებს, ფრინველია, სწორედ ფრინველი! მე ძალიანაც მომწონს ასეთი სიყოჩაღე. ქალი ამისთანა უნდა, მაგრამ რა განსხვავებაა ორ დას შუა!

პალ. ოღონდაც, ოღონდაც!..

ოქრო. რომელ დებზე ლაპარაკობთ?

პალ. მაშოზე და ქეთინოზე.

ოქრო. ქეთინოზე? მე ის არ მინახავს! განა კიდევა ჰყავს მას და?

შაქ. კიდეც ეგ არის, რომ ჰყავს და კი ვერავინ იცნობს ხეირიანადა. უცნაური არსებაა. წარმოიდგინე, ხალხს ერიდება.

ოქრო. იქნება ბუნება ძუნწად მოჰქცევია, დაუშორებია როგორც თავისებზე ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ე. ს. თაყაიშვილი
თავმჯდომ. ამხ.ნაგი

ქართულ კულტურ. საზ. კავ. გამგეობა

გ. ნ. ყაზბეგი
თავმჯდომარე



გ. ცინცაძე
წევრი-მდივანი

პ. მ. გოთუა გ. მ. ლასხიშვილი

(გამგეობის წევრთა ნ. რამიშვილისა და გ. რცხილაძის სურათები ვერ ვიშოვეთ)

სხვებზედაც?!

შაქ. პირიქით, ოქრო, ქეთინო ძალიან ლამაზია, ენით აუწერელი. არც უკოა, მაგრამ მფრთხალია, როგორც ირემი.

ოქრო. რატომ განომ არა მითხრარა იმ ქალზე?

პალ. მაგისი რა მოგახსენოთ და ქეთინო რომ სათნო, გონიერი ქალია, ციდამ ჩამოფრენილი ანგელოზი, ამაში ეჭვი არ არი! საზოგადოება მას კარგად ვერ იცნობს, ის მეტ დროს ბუნების მოტრფიალე და ამხანაგია.

ოქრო. (აღტაცებით) ოჰო, მხატვარია?!. კიდევაც იმისთვის ყოფილა მაგისთანა. მაგგვარი ადამიანი უეჭველია მიეტანება ბუნებას, მასთან საიდუმლო კამათი ეყვარება, მაგნაირ ადამიანის ლტოლვა-მისწრაფება ხალხისთვის მიუწდომელი და გაუგებარი რჩება. თქვენ ცნობის მოყვარეობა გამიღვიძეთ იმ ქალისადმი, დიდად დაგიმადლებთ, რომ გამაცნოთ.

შაქ. მაგაზე ადვილი არა არის რა. გინდ ეხლავე წავიდეთ. მაინც გზა იქითკენ არის ესენიც ჩამოგვივლიან!

ოქრო. კარგი წავიდეთ.

პალ. წარმოიდგინე, ოქრო, თუ შემთხვევით არ შეხვდით იმას, ისე ადვილად ვერ ნახამ, რადგან გინდ ორი საათი იჯდე იმათ ოთახში, მაინც ქეთინო თვალით არ დაგენახვება.

შაქ. მაგას ჩვენ მოვახერხებთ, მე კარგად ვიცი ქეთინოს საყვარელი ადგილი სადაცაა. ის ხშირად ზის ჩეროში გადმომჩუხჩუხე წყაროსთან თავის პატარა მშველით და ხატავს. იქნება ეხლაც იქ იჯდეს, ჩვენ უეცრად მივალთ, ვითომ ვსეირნობთ, შემთხვევით გავივლით, რადგან ის მოსეირნეთ არ უფრთხის ხოლმე. ისე ზურგს უკან მივეპარებით, რომ ვეღარ მოასწროს დამალვა.

პალ. თქვენ იცით!

ოქრო. შენ კი არ გამოგვყვები?

პალ. არა, მე შინ წავალ და მარიკას ვეტყვი, რომ ყველას შეატყობინოს ჩვენი დაწყებულება.

შაქ. მაშ, ჩვენ წავიდეთ, ოქრო!

ოქრო. წავიდეთ! (გადიან სამნივე ერთად)

ფ ა რ დ ა

მოქმედება მეორე, სურათი III

(კნ. თეკლე ზურაბიშვილის ბაღი, სახლის მოშორებით. რკინის ღობე აქვს. მშვენიერი იდილიური სანახაობა: ბაღში ყვავილები, გზები პატარ-პატარა ბილიკებად გატკეცილი, აქა-იქ ბუჩქნარები, ხშირი ხეები, მწვანე ბალახი ბიბინებს. ნაძვი, იფნა და წენგო სასიამოვნო სუნსა ჰფენენ გარშემო. ხეების ფართე ტოტები ისეა ერთმანეთზე გადახარიხებული, რომ მზის სხივები თითქმის ვერ ატანს; მშვენიერი ჩრდილია. ხეებ შუა ბუნდათ მოსჩანან უზარმაზარი მთები. შორიდან გუგულის ხმა. საიდანღაც ყრუდ ბულბულიც უსტვენს და სხვა

ჩვენ მოვდივართ

(ნაწყვეტები)

რაინდები!..

როდის იყო რომ გაიარეს ამ რაინდებმა, სახე ამაყმა და აღგზნებულმა რაინდებმა!

რა მშვენივრები იყვნენ: თვალს ვერ ვაშორებ მათ გზას, მივფრენ მათკენ; ასე მგონია დავეწევი კიდეც... აი ყურში მესმის მათი ხმა:

— ჩვენ ისევ მოვალთ, დავბრუნდებით კოხტა გაზაფხულზე... ჩვენ ერთად ვიქნებით იმ დროს, როდესაც მზე ამობრწყინდება!

გაიარეს... მათი კვალი ღრმად მოსჩანს, იგი არ იშლება...

ჩემი სულის სწრაფვა ლოდინად გადაიქცა. როდის? როდის?

—

სინათლე ჯერ არსად სჩანს! შავი უფსკრული ჰყლაპავს ქვა-კუთხედს სამყაროისას.

ჩემს გარშემო აღმართულია მაღალი კედელი, მინდა მტვრად ვაქციო ის, მინდა სინათლეზე გამოვიდე, მაგრამ შიშისაგან გამოწვეული კბილთა ღრჭენა მოსვენებას აღარ აძლევს მოკანცულს სულს. მინდა ვიყვირო, მინდა შევძახო რაღაც დამმონებულ ძალას: „კმარა, ჩვენ ფრთები შევისხით... აბჯრის ხმას ბრძოლის ველზე ქდარუნი გააქვს! იქ ბლომად არიან ჩვენებრ ცეცხლში გამოწრთობილნი, ჩვენ ხომ უკვე ვხედავთ განთიადს!"

—მაგრამ, ძალა უფსკრულისა მაჯლაჯუნასავით გულ-მკერდზე გვაზის და მისი ხელის

ფრინველების ქლივილ-ხივილია. ჯერ ისევ დილაა. მოისმის ჩანჩქერის ქშუილი. ყველა ეს უნდა ერთ ჰარმონიად იყოს გარდაქცეული. სცენაზე შეღებილი გრძელი სკამეიკები: ერთი სიღრმეში, ორი კი მარჯვნივ და მარცხნივ. მარჯვნივ სკამეიკასთან რგვალი მაგიდა. ზედ დასახატი ქაღალდები და წამლებია)

I

ქეთინო, შემდეგ **შაქრო** და **ოქრო**.

ქეთინო. (მეტად ლამაზი, კოხტა ტანისაა. დიდრონი სიცოცხლით სავსე თვალებით გამოიყურება. შავი გიშერივით თმა თითქმის ფეხებამდის ნაწნავად ეშვება. ცისფერ კაბაშია. მაგიდას მისდგომია და გატაცებით რაღაცას ხატავს)

შაქრო. (ცოტა ხნის შემდეგ გარედ): „აი ასე, ასე ოქრო! მოვედით, ეხლა საშიში აღარ არის".

ქეთ. (ხმას რომ გაიგებს, მწყრალად მოატრიალებს თვალებს გარშემო. მოისმის ფეხის ხმა. ქეთინო შეკრთება. შემოვლენ შაქრო და ოქრო)

შაქ. დილა მშვიდობისათ, კნიაჟნა, იმედია, გვაპატიებთ ასე უდროოდ მოსვლასა!

ქეთ. (ტკბილი, ნარნარის ხმით) არაფერია! საპატიებელიც მცირეა!

შაქ. ნება მიბოძეთ გაგაცნოთ. ეს გახლავთ თავადი ოქრო სარდიონიშვილი.

ქეთ. ქეთევან ზურაბიშვილი.

ოქრო. დიდად სასიამოვნოა თქვენი გაცნობა! მიკვირს, კნიაჟნავ, აქამდის ვერსად შევხვდით? განოსთან რატომ არა ბრძანდებოდით გუშინ ღამ? მგონია როსტომი თქვენი მახლობელია?

ქეთ. დიაღ, ბიძაშვილია. გუშინ იმისთვის ვერ მოვედი, რომ ბევრი საქმე მქონდა, მეორეც ესა, არ მიყვარს ხალხში სიარული.

ოქრო. თქვენი დაი სადა ბრძანდება?

ქეთ. შინ გახლავთ. გნებავთ დავუძახო?

შაქ. ძალიან კარგი იქნება. თუმცა ბოდიშს ვიხდით რომ...

ქეთ. აბა რა საბოდიშოა. ეხლავე დავუძახებ. უკაცრავად რომ მარტო დაგტოვებთ. (მალე გავა. ოქრო და შაქრო მარტო დარჩებიან ოქრო გარინდებული სდგას, ეტყობა ტკბება ამ მშვენიერ სანახაობით)

შაქ. ოქრო, რას გარინდებულხარ, მოგწონს აქაურობა?

ოქრო. პირდაპირ სამოთხედ არის გარდაქცეული ეს ადგილი! იცი, შაქრო, ადამიანის ბუნებაში არის ისეთი წამები, რომ ენას ვერ გამოუთქვამს ის ნეტარება, რასაც გული და სული გრძნობს! სწორედ წალკოტია აქაურობა! გრილი ჰაერი, უზარმაზარი მთები, რომელიც რისხვით დამყურებენ თავზე, ადამიანის ესთეტიურ გრძნობას უკმაყოფილებენ! ადამიანი რაც უნდა უნიჭო იყვეს, არ შეიძლება არ მოსწყურდეს ბუნებასთან კავშირი, მასთან ბაასი კალმით თუ სიტყვით.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელი და მოუხეშავი უთვალავი ფრჩხილები ჩვენს თავში გაბრწყინვებულ ნათელ აზრს მაგრად ჩასჭიდებია!..

რათ არის ეგრე? ვინ მომცემს პასუხს, ხმა ამოიღეთ, მითხარით.

არავინა სჩანს! ირგვლივ წყვდიადია, გარშემო სიცივე და ვზიავარ მარტო ამ სევდის სამეფოში.

ვისია სამეფო? ვინ იყო, რომ აგვიშენა ეს? ვინ იყო, რომ შეგვრეკა შიგ და დამწყვდია ჩვენი სული?!

—

ჩვენ არ ვიყავით, ეს სევდის სამეფო რომ გადავლახეთ?

თქვენ ალბად გახსოვთ, როგორ გაიპო ჰაერი იმ დროს, და როგორ განერთხენ ძირს ქვე წარმავალნი! ამობოქრებულმა ზღვამ გადმოხეთქა კიდეები და შავი ცხოვრების მიჯაჭვული გემი დალეწა! ჩვენ იმ დროს ცელქ ტალღებში ვთამაშობდით. მშვენიერი იყო ის დრო, ლამაზი, მომხიბლავი და საოცნებო რამ.

ახლა კი სევდა, მხოლოდ სევდა...

. . . . . .

და გავიძახი ყრუ სივრცეში: რად არის აგრე?

პასუხი შორს, შორს გაისმის:—საპყროობილის შავს კედლებში ვარ, ეს კედლები სამარედ გადიქცა, აქ ადამიანები უნუგეშოდ ჰყრიან, ღონე-მიხდილნი, დაქანცულნი, თავისიანების, მეგობრებისგან და სულის სწორისაგან მიტოვებულნი!..

—

მოულოდნელად შევხვდი მას.

ტუსაღის ვაგონიდან რაღაცას მელაპარაკებოდა, რაღაცას მანიშნებდა. მე ხელებმა კანკალი დამიწყეს, ჩემი სული წყევა-კრულვას და მუქარას უგზავნიდა ვიღაცას... მოთმინება დავკარგე და წამოვიყვირე:

— არწივს ხომ ნავარდი უყვარს ცის წიაღში!.. ეგეც ხომ არწივია, ჩვენი არწივი! რათ დამწყვდიეთ, რათ შეაკვეცეთ ფრთები?! გაუშვით, ნუ უხშობთ მშვენიერ, აზრიან სიცოცხლეს.

ჩემს ახლოს მდგომმა ჟანდარმმა უხეშად გადმომხედა.

მატარებელმა უკანასკნელად ამოიგმინა და გაუდგა გზას.

აღარავინ იყო ჩემს გარშემო, მხოლოდ სიმარტოემ მომიყვანა გონს.

—

ჩვენ ავიწყვიტეთ ჯაჭვები. მოვდივართ და მოვიმღერით, მოვიმღერით სიმღერას დაუსრულებელს; აღარა სჩანს ის მატლი, რომელიც შეძვრა ჩვენს გულში და ღრღნიდა ამ საუკეთესო ადგილს დაუსრულებლად.

ჩვენ მოვდივართ და ჩვენი სიმღერა გარს ევლება მიძინებულ არე-მარეს.

ჩვენ მოვდივართ!..

ოლიმპიადა ბაქრაძე

—

სად ხარ, ახლა, ქრისტეს, სად ხარ?

(ნადსონისა)

ქრისტეს, სოფლად ხალხს ამცნებდი
უკვდავ ეშმარიტებასა,
სიყვარულსა მოყვასთ შორის,
წმინდა თავისუფლებასა.
სად ხარ ახლა, ქრისტეს, სად ხარ?!
შეეშველე შენს ტაძარსა,
სად ვაჭრები კვლავ სჩადიან
საქმეს, მეტად საზიზღარსა,
ის მახვილი, რომელიცა
გადაეცი შენ სოფელსა,
დღეს უპყრია მოწამებრივ
სისხლით შესვრილ კაცის ხელსა.
დაინახე, თუ ვინ ამცნებს!
შენს მოძღვრებას სოფლის შვილებს,
რომელსაცა მძიმე ჯვრის ქვეშ
ასწავებდი შენს მსმენელებს.
იმთ აზის ცხადათ დიდი
სიბილწის და გარყვნილების,
სიცრუვესა მეტყველებენ
სატანჯველად ღვიძლი ძმების.
ბოროტს კიდევ გაუძლებდი:
საბრძოლველად მერჩის გული,
რომ გავფანტო სიბოროტე,
კაცთა შორის ფესვ-გადგმული,
მაგრამ გული გიღელდება
ოდეს ხედავ ფარისეველს,
ნილაბით პირ-აფარებულს
სულ გაყიდულს და სძაგელს,
რომ ისიც კი... შენსა გვერდით
თვის თავს ხალხი მოძღვრად სახავს,
ვითომ სტირის მის სიმრუდეს
და სიცრუვეს მისას ძრახავს!!

ი. ფერაძე

დანგრეული ოჯახი

(სურათი)

ძღვნად გიორგი ქუჩიშვილს

როდესაც გლახუნა კეთილაძემ თავისი გათქვირებული ხარები შეშით დატვირთულ ურემში შეიბა, ორთავე ხელებით სათითაოდ ხარებს კისერზე მოხვია და, შეყვარებული რაინდივით, თითქოს თავის გულის სატრფოს ემშვიდობებაო, თვალები და შუბლი დაუკოცნა და თან აღტაცებულმა წამოიძახა:

— ჰოი, თქვენი გამჩენის პირიმე თქვენი, ჩემო მერცხლებო, ჩემო ნუგეშნო...

ხარებმა იგრძნეს ასეთი ტკბილი ალერსი პატრონისა.. და თვალები სიხარულით აევსოთ... ამის შემდეგ გლახუნამ მოიხადა ქუდი, თვალები ზეცას მიაპყრო და ხმა-მაღლივ სასოებით წარმოსთქვა: „ღმერთო დიდებულო, შენ იყავი ჩემი მფარველი გზაში და ჩემი საქონლის ავი თვალიდან მხსნელი“... და ამ სიტყვებთან ერთად სწრაფლ მოახტა ურმის კოფოს...

— აბა შენ იცი გლახუნა,—მიმართა ცოლმა, რომელიც აქამდის ჩუმად იდგა და თვალს ადევნებდა ქმრის მოძრაობას: ვინძლო დანაბარევი არ დაგავიწყდეს...

— მამილო, მამილო,—ჩემთვისაც არ დაივიწყო წითელი ჩლუტები, ტიტინით მიმართა ოთხი წლის შაქრომ გლახუნას, და თან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დედის კალთას მიეკრო...

— კარგი, კარგი,—არაფერი დამავიწყდება,—დარდი ნუ გექნებათ. თუ მეტს არა—ნაკლებს არაფერს მოვიტან,—მხიარულად უპასუხა გლახუნამ და თან შოლტი გაატყლაშუნა ჰაერში, რის გამოც ხარები დაიძრნენ, ურემიც აჭრაჭუნდა და მალე მოეფარა თვალს... გლახუნას ცოლი მიაკო, კიდევ დიდხანს იდგა იმავე ადგილას და გაჰყურებდა იმ გზას საითაც ურემი წავიდა და თუმცა აღარა სჩანდა... სამაგიეროდ მოისმოდა ურმის თვლების ხმაურობა სოფლის ოღრო-ჩოღრო ორღობიდან...

— ღმერთო და წმინდა გივარგი,—თქვენ დამიბრუნეთ მშვიდობით სახლში ჩემი გლახუნა,—ჩაილაპარაკა თავისთვის მაიკომ და სახლში შევიდა...

გლახუნა გასცდა თუ არა სოფლის ორღობეებს და გზატკეცილზე გადავიდა, მაშინათვე კოფოზე გასწორდა და თავისებური სიმღერა შემოსძახა: „მთაო, გადმიშვი, გადმიშვი“ და სხ...

გლახუნას საუცხოო ხმა ხელს უწყობდა სიმღერაში, და მისი, ზარის მგზავსად, წკრიალით და ნაზად ამოძახილი, სწრაფლ მოედო ახლად გაღვიძებულ ბუნების საიდუმლო წიაღს... ხოლო სიმღერას შეჩვეულმა საქონელმა, მძლავრად გასწია უღელსა და მხიარულად და მწყობრად მიაბიჯებდა ფეხებს...

—

ბინდდებოდა... მზემ უკანასკნელი სალამი უძღვნა ქვეყანას, თავისი ოქროსფეროვანი სხივები წამოკრიფა და აუჩქარებლივ გადაესვენა მთის მწვერვალს... დაჰბერა საღამოს გრილმა სიო, და ახლად ამწვანებული მინდორ-ველი ზღვის მღელვარე ტალღებს დაამზგავსა...

აი, ამ დროს „ტირიფონის“ ტრიალ მინდორს მოუახლოვდა სიმღერით ერთი მეურმე... თვალი გადაავლო მინდორს, რომელიც ისე საამურად ბიბინებდა, რომ ადამიანს თვალს მოსტაცებდა... მეურმეს ამის დანახვაზე სახეზე მხიარულების ღიმმა გადაჰკრა: „სადღა უნდა ვიარო,—ჩაილაპარაკა თავისთვის,—აქვე გამოუშვებ, ერთი კარგად დავაძღობ ჩემს მერცხლებს ყანის ნაპირებზე და მამლის ყივილისას გაუდგები გზას, რომ ადრიანად შევიდეგ—“ი“...

ამ სიტყვებთან ერთად სწრაფლ გადმოხტა ურმიდან და ხარები უღლიდან გამოუშვა, რომელნიც ხარბად მისცვივდნენ მწვანე ბალახს, თვითონ იქვე ფარაჯა გაიშალა და ზედ წამოწვა, თან თვალს ადევნებდა საქონელს, რომ ყანაში არ შესულიყვნენ... მაგრამ საღამოს წმინდა სიომ და ბუნების მდიდრად გაშლილმა კალთამ სძლია ადამიანის გონება... და მეურმემ მალე ტკბილი ხვრინვა ამოუშვა. რაკი ხარებმა იგრძნეს, პატრონი არ გვიჯავრდებაო, გათამამებულებმა ღრმად შეტოპეს ახლათ ამწვანებულ ჯეჯილში...

ასე ტკბილად ეძინა ჩვენს მეურმეს, როდესაც მასთან გამწარებული მივარდა ერთი შეიარაღებული, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, წიხლი ჩასცხო და თან დასჭყივლა:

— ადე, შე მამა...,—რა!ა გძინავს?

მეურმე მაშინათვე წამოხტა და საშინელი ტკივილი იგრძნო გვერდში: ვერ მიმხვდარიყო რა იყო მიზეზი...

— რათა მცემ?.. შეეკითხა მეურმე შეიარაღებულ კაცს.

ღმერთმა ნუ გიცის,—რაზე გაგვიოხრე ყანა, შე ულმერთოვ, შენა...

მეურმე ახლა კი მიხვდა რაშიც იყო საქმე, შეშინებული წამოხტა და შეჰყვირა: „ვაიმე, იქნება ყანაში გადამივიდნენ ხარები“ და თვალიერება დაუწყო. მაგრამ დაინახა, რომ მისი ხარები ერთ გლეხს რქებზე თოკგახლართული ხელში ეჭირა.

— ვინ მოგცა ნება აქ ძოვებისა?—მკაცრად ჰკითხა მეურმეს შეიარაღებულმა.

— მე... მე... ნაპირზე ვაძოვებდი და დამძინებია... 'მიშით წარმოსთქვა მეურმემ...

— დაგძინებია?!. მაშ კიდევ იძინე,—უპასუხა შეიარაღებულმა და თან ანიშნა გლეხს, რომელსაც ხარები ეჭირა, რომ წაესხა.

მეურმე მიხვდა, რომ ხაქმე სახუმარო აღარ იყო და შეეხვეწა:

— კნიაზო!.. რა უყოთ, დამძინებია,—რაც წაგხედია—ფულს მოგართმევთ...

— მე ჩემი ბვინაზღაურე ხარებით,—და შენ კი ღმერთს მადლობა შესწირე, რომ აგრე გტოვებ...

— რასა ბრძანებ, კნიაზო,— თავცოცხალი ხარებს ვერ დაგანებებ...

— მაშ გაძალიანდი,—უთხრა, ამ სიტყვებთან ერთად მოახტა ცხენს—და გზას გაუდგა...

რაკი ხვეწნა-ვედრებამ არ გასჭრა, გამწარებულმა მეურმემ სახრეს ხელი წამოავლო და გადაეღობა იმ გლეხს, რომელსაც საქონელი მიუდიოდა...

— სად მიგყავს, სად? და ხელიდან გამოსტაცა თოკი, რომელიც ხარებს ჰქონდა მობმული...

გლეხმა იგრძნო, ამ გამწარებულ კაცთან ბრძოლა არ გამომადგებაო და ცხენზე მჯდომ მიმავალს გასძახა:

— მოურავო, ხარები წამართვა მიშველე!..

მხედარი თუმცა მოშორებით იყო, მაინც გაიგონა, ცხენი სწრაფლ მოატრიალა, გაშმაგებული მივარდა და რამდენიმე მათრახი უთუთქა თავხედ მეურმეს...

— რათა მცემ?.. თუ რამე წამიხდენია—ფული მიირთვი: ხარებს არ დაგანებებ, არა...

— გაუშვი ხელი?—ბრძანებით დასჭყივლა მოურავმა,—გაუშვი, თორემ შავ დღეს დაგაყენებ...

— არ გაუშვებ, ახლა,—დაიჟინა მეურმემ და ხარები თავისკენ გამოსწია. გაბრაზებულმა მოურავმა უმოწყალოდ დაუშინა მათრახი... მოთმინებიდან გამოსულმა მეურმემ ვეღარ აიტანა ასეთი უსამართლო და უდიერი მოპყრობა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოურავს სახრე მოუქნია... სახრით გამწარებული მოურავი დაიკლაკნა და გამხეცებულმა ხანჯალი ჩაჰკრა მეურმეს შიგ გულში...

— ვაიმე, ოჯახ... ვეღარ დაათავა მეურმემ, დაეცა და მკერდიდან წითელმა შადრევანმა ამოხეთქა...

— არც ახლა გაუშვებ!—მკაცრად დასძახა მოურავმა და სწრაფლ ცხენი გაქუსლა...

ვანო სამთაშვილი

წერილები მეგობართან

ქათველ მუსულმანების შესახებ.

ძვირფასო მეგობარო!

წინა წერილში მოგწერე, თუ როგორ სწყინდა ქართველ მუსულმანს სელმანს, როდესაც ქრისტიანი ქართველები „თათარს“ ეძახდნენ.

ახლა კი მოგწერ სულეიმანის ამბავს!.. სულეიმანი სწავლობდა აქაურს საშუალო სასწავლებელში. ამ სასწავლებლის მოწაფეებმა შვიდი წლის წინად მასწავლებელთა ხელმძღვანელობით განიზრახეს წასვლა ქუთაისში და იქიდან გელათსა და მოწამეთში... სულეიმანს მეტად სწყუროდა ამხანაგებთან ერ-

ოად მოგზაურობა... თანხმობა განაცხადა პირველხანად და ნუსხაშიც ჩაეწერა... მაგრამ ორი დღის შემდეგ თვალცრემლიანი მოვიდა და მასწავლებელს უთხრა:

— მე ვერ წამოვალ ქუთაისში...

— რა მიზეზი?—ჰკითხა მასწავლებელმა: შენ მაგივრად ფულს მე შევიტან, ოღონდ წამოდი!..

— საქმე ფული არაა,—მიუგო სულეიმანმა: მამა მიშლის იქ წასვლას,—"შენ იქ გაქრისტიანდებიო..."

მასწავლებელი სახტად დარჩა...

საბრალო სულეიმანი!!. რა რიგ გულგატეხილი იყო შემდეგში მამის ასეთი საქციელით... მაგრამ სულეიმანის მამას რომ შესძლებოდა მოკლე დროით ღრმად განსჯა და საღი გონების თვალით რომ დაკვირვებოდა საქმეს, სულეიმანს ქუთაისში წასვლას არ დაუშლიდა... მართლაც, რა აქვს საერთო გელათის დათვალიერებას მუსულმან ქართველის მიერ ქრისტიანობის მიღებასთან?! სრულიად არაფერი. მე ხომ ქრისტიანი ვარ. მე დიდი სიამოვნებით დამითვალიერებია დიდებული მეჩეთები მუსულმანებისა სტამბოლს, ალექსანდრიასა, ქაირსა და სხვაგან, აღტაცებული დავრჩენილვარ მათი სიღიადით, სილამაზით და საღმრთო გამამეტყველებით, მაგრამ ამ გარეშოვრებას ჩემთვის გული არ შეუცვლევინებია ქრისტიანობაზე...

მაჰმადიანთა საღმრთო წიგნი "კურანი" სრულიად არაა წინააღმდეგი მეცნიერების და ხელოვნებისა,.. ცოდნის შეძენა — მისი აზრით, აღამაღლებს გონებას და კაცს დაუახლოვებს ღვთაებას...

მუსულმანთა სჯულის იყვნენ მრავალნი მეცნიერნი: ექიმნი, პოეტნი, სჯულის მდებელნი...

ეს ჭეშმარიტება ალბად სულეიმანს მამამ არ იცოდა. მაგრამ იმედია, სულეიმანს იგი შეგნებული ექნება.

შენი მეგობარი **ი. თეზბიტელი**

ცოლის წერილი ქმართან ბრძოლის ველზე*)

ჩემი სიცოცხლის ვარსკვლავო,
ყვავილო ჩემი სულისა,
შორს წასულს წიგნს გწერ და მოაქვს
შენთან მას ტრფობა გულისა.
სულით და გულით შენთან ვარ,
შენ დაგფრენს ჩემი ფიქრები;
აქ ყოფნა მომეწყინა და
ნეტავ მაქ როდის ვიქნები!?
ვფიქრობ როგორმე ფრთებ გაშლით
გადმოვიფრინო შენსკენ;
ნეტავ მაქ ვიყო, სულიკო,
შენს მკერდზე ჩამომასვენა!..—

აქ როს იყავ, სიტყვებით
თუმც გაწყენინე პატარა;
ამ ქვეყნად მუდამ სიამით
ნეტავ რომელი დამტკბარა?—
ტკბილ ცოლ-ქმარს რომ გაუშლიათ
საწოლი თოხის ტარზედა,
მათაც შეხვდებათ ხ.ნდახან
საწყენი რამე თქმაზედა.
მაგრამ ასეთი ცოტა რამ
ახლა რა მოსატანია;
ითქვა, გაფრინდა,—სიტყვასთან
საწყენიც წანატანია;
ხანდახან უმიზეზოთ რომ
აჯავრებს ურთერთს ცოლ-ქმარი,
სიყვარულს ნიშნავს, ძულების
ძლიერ შორს არის საზღვარი...

მომწერე, ნება მომეცი
რომ მაქ მოვიდე შენთანა;
უშენოთ ვეღარა მართობს
ცა-ფირუზ, ზურმუხტ-ქვეყანა.—
დროებით ჩვენი სიშორე
მდგომარეობის ბრალია;
შენი გზისაკენ მიპირავს
მუდამ დღე, გულო, თვალია.
შენს კარგათ ყოფნას, სიცოცხლეს
ღმერთს ვთხოვ ვედრების თვალითა;
თავს დაგტრიალებ ფიქრებით,
გიგონებ დღით და ღამითა.
შენთან ვარ სულით და გულით,

*) ეს წერილი ჯარისკაცის ხელშია ნაპოვნი ვბეჭდავთ უცვლელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენთან არს ჩემი გონება;
სიყვარულს ჩემსას შენდამი
ნეტავ რა შეეწონება?!
ნეტავი ნატვრა ამიხდეს
და ჩიტი ვიყო პატარა,
ცხრა მთა, მინდორი, ტყე, ველი
სულ ფრენით გადმომატარა.
გავჩნდები შენთან, სიცოცხლევ,
უბეში ჩაგიგორდები;
შენსკენ მომიწევს გული და
აქ სევდა მიპყრობს, ვღონდები...
მოკითხვას გითვლის ჩვენები,
აქ ყველა კარგათ არია;
ჩემთვის ბურუსობს უშენოთ,
თორემ ისე კი დარია.—
რა ვუყო, დარდსა გავუძლებ,
ოღონდ შენ იყავ კარგათა;
თავს გაუფრთხილდი, გამხნევდი,
ფრთები გაშალე ლაღათა.

გ. ლადოშვილი

ჩვენი სოფელი

თუ სოფელი დონეერია—ქვეყანაც წედშია გაშართუდი... ადეს კი ჩვენი სოფელი მრავალს სიდუხჭირეს კანიტდილ: მუშა-ხელის დაკლება ომში კაწვეგეს კამო, მოუსვედობა, სიშინელი სიძერე, კანუსოდებდობა, მეურნეობის ძვალდ-ბური წესი, სოფელში ჩაწბ-წუბენელების თარეში და სხვ. რაშელი ერთი ჩამოთვალთს კიტმა... ხალო სიტა ხადხი სიდარანბიო დონე-მიხდიდა, უშშელ-უსშელი, ჩაუტშელ-დუხურეი, იქ ვერტ ხელდოენეს—თეატრი, მწერდობა, მუსიკა და, სავრთოდ, კულტურა კიიფურჩქენება და, შეაძლება, სამუდამოდაც ჩანელდეს...

ესწორთ ჩვენს სოფელს—მეურნე კლესკა-ტობეს—უფრო მეტეს ეურალდებით მოგეპეურთ, მისი კულის ნადები და კაკურეებს მეთიეე ბა-კით მოგისმინოთ ..

აქ გბეკლდეთ ერთი კაკურეთელი მეურნე-კლენის წერილს უტვლელდ (შიკა და შიგ კერ-ძო ადგილთა კამოკლებით) და, ალე, ჩვენი ქვე-ენის კულუმატკეგანთ კიეკონ, ალეს რას უნდა მიაქტიონ ეურალდება საჩქაროდ საქმით და ანა ცხალიერი სიტეეთ...

სოფლის ჭირ-ვარამის შესახებ წერილეს, თვით კლეხთაკენ დაწერილს, კეკლეკ ალბეეშ-ალეთ; ე�დეს ესეთი მასალა მოკეგ-წოდონ.

რედ.

ქერძო წერილიდან

.....„გოგირდის გასაქირს კანვიტდიო... ...ისე ვარ ალდონებუდი, რომ არ ვიტი, რა კეხს ალვადეკ? მერე ამ დროს, კიტო რა სიდუხჭირეკ სოფლასთ!.. ვინ ასწერს ან ვინ აიტკეებს სოფ-ლისთვის თავს? ბეკრი ცარიელი სიტეეთი არა-ხუნეს, საქმით კი არავინ უწვალის ხელს ალ ალ-მის მთალდ ჩაკეკლეს მეურნეობა. მუშა ალეში 1 მ. 20 კ., (ზოკან 2 მ., ხარჯიტ მამეალის პატრონისეს) ისიც არ იშოვეს ალ კანალ ამაზე მეტი ცხოვრების აბრაზეს შეიძლება?!!.. ეული ალ-ბეწეალება ალ თავალზე ტრემალ ვეალარ შეაშრობ, რომ ალინახო რაკორი მამეალები ფეაშალებს შეკ-მეაშავებალი .. ეი წერილის სიწერალ რო ვზიარ, ვერ ვისავენებ ალ ცალი თვალი, კიორგი მეფეკ-სვეთ, ვენახისკენ მიკერავს.“

დიმ. სოლოლაშვილი

ძალთ. ალამატ. ალამა სახალხო სახლში 18 აპრ. წარმოადგინა შექსპირის უკვდავი „მეფე ლირი“. პიესას საერთოდ მომზადება აკლდა, თითქო გაურკვნელი ვენახიანა, მთლიანი სული, აღფრთოვანება არ ანლდა. ვინც ღირსეულნი აღმასრულებელნი უნდა ყოფილიყვენ ნაკისრ როლების (და იქნებოდენ კიდეც, რო ესურვნათ), ისინიც კი შიგა და შიგ თუ გამოაშუქებდენ ხოლმე: ჩსანს დრო და ადგილი ხელს ვერ უწყობდა პიესის შეთანხმებულ მომზადებას. აღსანიშნავი არიან ვ. გუნია (ლირი), ნ. დავითაშვილი (კორდელია), გ. იშხნელი (კენტი), ი. ზარდალიშვილი (ედგარი), ვ. გამ-ყოლიძე (გლოსტერი), მ. სარაული (ოსვალდი). ფი-ლდებული ხუმარა—გაჰკრა, დაიკარგა. პიესაც თითქო შეკეკეილ-დაკურული იყო. სახლგადოება—ხალხი კი აუარებელი დაესწრო. რამდენად სასიხარულოა ჩვენი ხალხის ასეთი გატაცებით სიარული თეატრში, იმდე-ნად სამწუხაროა, რომ ქართველი ხელობითი მსახიო-ბი თავისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო, ვერ ახერხებს მაყურებელს ნამდვილი ესთეტიური სიამოვნე-ბა აგრძნობინოს და თვითონაც არ ეწამოს... ეusავინ

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო სახლში კვირას, 17/IV ბ-ნმა გოძიაშვილმა გამართა კონცერტი. კონცერტის დაწყებამდე ბ-ნმა კასრაძემ წაიკითხა ფრიად საყურადღებო ლექცია: „უხელო რაფაელნი და მათი ცისფერი ყანწები“. მეტად ცუდი მოციქულები შეჰხვდენ ფუ·ურიზმს საქართველოში, ფრიად ადრე გამოილაშქრეს ჰაერში მოსიარულეთ—კარდონის მახვილებითო.

ქართველი საზოგადოება შესაფერის წყრომით შეხვდა „უცნაურ ფუტურ ზმს“, რომელიც სრულებითაც არ ემსგავსება მარინეტის მიერ წარმოდგენილ დებულებათ. მაშ რა არის იგი?—თითქმის არაფერი, იგი უფრო ქართულ ოცნების ნაყოფია და თვით ამ ახალგაზდათა მიერ წარმოდგენილი სახარება, ეს პირველი ალსარება-მანიფესტი ცისფერ-ყანწელებისა, მხოლოდ აყროლებული „ნაგვის ყუთი“, ქართულ ჰაერის მომშხამველი, „სიზმრის ბოდვა“ და სხ. არაფერიო. ბ-ნი კასრაძე შეეხო ფუტურიზმის ალორძინებას იტალიაში, სთქვა გაბრიელ დ, ანუნციოზედაც, როგორც პირველ მომხრეზედ ფუტურიზმისა, ძველ მწერალთა ბანაკიდან მოიხსენია მარინეტი და სხ. სამწუხაროდ, ბ-ნ მომხსენებელს შესაფერი მრევლი არა ჰყავდა და ბევრი ამთქნარებდა.

ბ-ნ გოძიაშვილის კონცერტში საყურადღებო იყო მხოლოდ ეროვნული ელფერი და სხ. არაფერი. სუსტი იყო როგორც ტრიო, აგრეთვე სიმღერები და მშვენიერი სოლო „გამაგონე“ ფრიად უხერხული გამოდგა გუნდისთვის. საერთოდ ახალი არა იყო რა; ისევ ძველი სიმღერები და სხ. ჩვენი ძველი ქართული სიმღერები, რაგინდ ძველიც იყოს, ყურადღებას არ არის მოკლებული, მაგრამ მათი სუსტად შესრულება ღირსებას უკარგავს. ახალი იყო „ფანდურის სათამაშო“, ნალარა-დაირით, რომელიც ხალხმა სამგზის გაამეორებინა. ჩვენი კონცერტების გამმართველთ სენად დასჩემდათ, ქართული ცეკვის პაროდიების ჩვენება. კვირის კონცერტზედაც ასევე იყო, ყურადღებას იქცევდა მხოლოდ ბ-ნ გოძიაშვილის თამაშის სიმკვირცხლე, რომელიც ერთი უდიდესი ღირსებათაგანია ქართულ ცეკვა-სახიობისა. ხალხი ბლომად დაესწრო. **გოგლა**

წვრილი ამბები

მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, ჩვენი დამსახურებული მსახიობქალი, ავადაა.

თამაროზბას—თამარ მეფის დღეობას, 1 მაისს, ქალთა „განათლების“ სკოლის თაოსნობით დიდი დღესასწ·ული გაიმართება: დილით დიდუბის ეკლესიაში, შუადღისას სახაზინო თეატრში.

მ. ჯანაშვილმა დასწერა ახალი ისტორიული გამოკვლევა „თამარ მეფე“.

„თეატრი და ცხოვრების“ შემდეგი (18) ნომერი საგანგებოდ თამარის ხსოვნას მიეძღვნის.

მგოსან ს. აბაშელის სასარგებლოდ ლადო გედევანიშვილს თავის ნაცნობთა შორის შეუგროვებია 24 მ. აქედან 12 მან. რედაქციამ მიიღო გადასაცემად, ხოლო 12 მ. თვით გადაუცია.

ნ. გოცირიძე თელავს გაიწვიეს საგასტროლოდ 23 აპრ.

დღეს დილით სახალხო სახლში გ. ჯაბაურის თაოსნობით წარმოდგენილ იქნება „ქრისტინე“.

ეგ. ნინოშვილის დილა პ. გელეიშვილის ლექციითურთ სახალხო სახლში გაიმართება 1 მაისს.

ახალი კლუბი საგანგებო დეკორაციებს ახატვინებს.

ხარფუხის კლუბი, თვის უნებლიეთ თუმცა შევიწროებულ დარბაზშია, მაინც თავის სტუმართათვის მუდამ სათანადო გასართობებსა მართავს და მალე საზაფხულო შენობაში გადავა.

სცენის მოყვარის რ. ხალაყაიას სახალხო სცენაზე 20 წ. მოღვაწეობის აღსანიშნავად ამ მოკლე ხანში სახალხო სახლში სადღესასწაულო წარმოდგენა გაიმართება.

დ. ჩოხატაურში ეგ, ნინოშვილის სახელობის სამკითხველოს გამგეობამ დაადგინა ადგილობრივ თეატრში—მაისის 1-ლს გამართოს „თამარ მეფის საღამო“, შემდეგის პროგრამით: 1) მიხ. ხერხეულიძე წაიკითხავს მოხსენებას—„თამარ მეფის ეპოქა“; 2) წარმოდგენილ იქმნება დ. ერისთავის „სამშობლოს“ უკანასკნელი მოქმედება; 3) სიმღერები და ლექსები და 4) თამარის შესახები აკაკის ლექსებიდან დაიდგმის ცოცხალი სურათები.

ქართ. კულტ. მოყვ. საზ-ის თაოსნობით დღეს, 24 აპრ. „ახალ კლუბის“ დარბაზში დ. კასრაძე წაიკითხავს ლექციას „უხელო რაფაელნი და მათი ცისფერი ყანწები“.

ახალი პიესა დასწერა შალვა დადიანმა. ეხება თამარის ხანას, შეიცავს 3 მოქ. და „ვარამი“ ეწოდება·

შალვა დადიანის თაოსნობით მოკლე ხანში სახ. სახლში წარმოდგენილი იქნე·ა ს. შანშიაშვილის პიესა „უგვირგვინო მეფენი“.

ქართველ მოღვაწეთა აგარაკის აშენების მოწოდებას ხარკოვის ქართველი ახალგაზდობა დიდის თანაგრძნობით შეხვედრია და ფულსაც აგროვებს შესაწევრად.

ხარქ. სტუდენტთა ერთი ჯგუფი გვწერს: სალამს ვუძღვნით თავის საყვარელ სამშობლოში დაბრუნებულს სამშობლოს ღირსეულ შვილს თ სახოკიას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, რომ კვლავ გაბედულათ ეფრიალებინოს დროშა ქართველ ერის კეთილდღეობისა და უკეთეს მომავლისა.

შიო მღვიმელის საღამო ჩოხატაურის თეატრში მ. ხერხეულიძის თაოსნობით გაიმართება მოკლე ხანში. მონაწილეობას განსაკუთრებით ბავშვები და მოზრდილნი მიიღებენ.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

უკვე იბეჭდება

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორედ შევსებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნში ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათა გან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქროვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელოგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერათათვის გაგზავნით ღირს **ორი** (2) **მანათი** (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნი გამოსვლის ჟამს **ახალ ხელის მომწერთათვის 2 მან. 50 კაპ.**

ხელის მოწერა მიიღება: ჟურ. **„თეატრი და ცხოვრების“** რედაქციაში „სორაპანი“-ს სტამბაში). **ფოსტით:** Тифлисъ. Ред. **„Театри да Цховреба“** **Іос. Имедашвили.**

„თეატრი და ცხოვრება“-ში დასაბეჭ. მიიღება განცხადებანი. კანონი— მთელი გვერდი—60 მან., ნახევ.—30 მ., მეოთხე.—15 მ., მეოთ.—8 მ. ნაბეჭდი—100 მ. ფასი—70 მ. ადგილი შეთანხმებულ. ქალ. ტელ. ფოსტ. ფოსტ. Тиф. ред. „Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили.

1916 მიიღება ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამსახტვრო, საზოგადოებრივ შინაარის სურათებიანი ყურნალი ეუმორისტული განყოფილებით, **შარუებით** და **კარიკატურებით**

ფასი: ფულიფად ერთ თეთრი

„თეატრი და ცხოვრება“

ფასი: ფულიფრად 5 მან. ნახ. ფულ. 3 მან.

ფულიფადი გამოცემისა მეოთხე

1916 წელსაც გამოვა

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმოხვეჭილ და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ეურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა

ეურნალში ხუთასამდე სურათი დაიბეჭდება

ფასი: ფულიფრად ისევე 5 მ., ნახევ. ფლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს—2 მ. მაისში— 2 მ. ენკენისთვეს 1 მ. ვინც მთელი ფლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში (მადათოვის კუნძ. № 1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დღეში 9—2 ს. საღ. 5—7 ს. **ფოსტით:** Тифлисъ, ред. **„Театри да Цховреба“—Іос. Имедашвили.**

ტელეფონი № 15—41.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილი

„ახალი კლუბი“

ერთი კვირის პროგრამა 24 აპრ. 1 მაის.

ორშაბათი — სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკ.

სამშაბათი—საოჯახო სალამო; ორკესტრი

ოთხშაბათი—სინემატოგრაფი, სიმებიანი ორ.

ხუთშაბ.—ქართული წარმოდგენა (უფასოდ);

პარასკ. სინემატორაფი, ორკესტრი.

შაბათი—ოპერეტტა.

კვირა—კლუბი გადავა საზაფხულო ბინაზე. საზოგადო სადილი ხელის მოწერით. საზანდარი; ორკესტრი; სინემატოგრაფი.

დასაწყისი: კონცერტებისა სალამ. 9 საათ., წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8 ს.

შესასვლელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში) 65 კ. მამაკაცები 1—05 კ.

ქართულ კულტურის მოუვ. საზო-ბა

„ახალ კლუბში“

კვირას, 24 აპრილს

დილით **დ. პასრაძე** წაიკითხავს ლექციას:

„ეხელო რაფაელნი
და ცისფერი ყანწები“

ლექციის შემდეგ **კამათი.**

დასაწყისი შუადღის 12½ ს.

ფასი 1 მანეთიდან—20 კ-დე.

სასასტუმრო სახლი

ორშაბათს, **25 აპრილს, 1916 წ. ქარ. დრამ.**

დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება:

ᲙᲐᲛᲔᲢᲘ

ტრაგედია 5 მოქ. უ. შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბლისა

მონაწილეობას მიიღებენ: **დავითაშვილი ნ.** ქიქოძე ანეტა ბეჟანიშვილი ს. აბაშიძე ვ. გუნია ვალ. გომელაური შაქ. თარალაშვილი ი. იმედაშვილი ალ. იშხნელი გ. ზარდალიშვილი ი. მამფორია ილ. სარაული მ. გვარაძე. გედევანოვი. გ. ვარვარიძე ვ. კორშელი.

დასაწყისი საღ. 8 საათზე

ადგილების ფასი 15 კ-დან 1 მ. 50 კ-მდე

ადმინისტრ. ქართ. დრამ. საზ.

„ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ“

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲝᲚᲝᲚᲐ ᲥᲣᲩᲐ № 6.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲘ: „თეატრი და ცხოვრება“, „თან. ᲐᲠᲐᲠ“, „ᲒᲣᲨ. ᲛᲐᲠᲐᲜᲘᲐ“, „ᲜᲘᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“, „Тифлисскій Листокъ“, „Русское Слово“, „ᲬᲘᲠᲐᲜᲨᲐᲠᲘ“, ᲙᲔᲓᲚᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 96, Саваркиладзе.

ᲜᲐᲫᲐᲚᲐᲓᲔᲕᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ 24 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ

ნაძალადევის სცენის მოყვარეთა და მსახიობ **გ. იშხნელის** მონაწ. წარმოდგენილი იქნება

დღენი ჩვენი ცხოვრებისა

სტუდენ. ცხოვრ. 4 მოქ. ანდრეევისა

მონაწილეობენ: **მარგველაშვილი, ს. ბოკაშვილისა, კაკაბაძე, ბერძნიშვილი, მიხაშვილი, ბატ. გ. იშხნელი, გაბინაშვილი, კუდუსაშვილი, სვანიძე, ძაძამია, ბოკაშვილი, დადოშვილი, კანდელაკი, შავიშვილი, ჩიჩუა, ბედინაშვილი, მაჭავარიანი** და სხ

დასაწყისი საღამოს 8 ს.

ადგილების ფასი 20 კაპ. 40 კაპ.

მორიგი გამგე მეტეხელიშვილი.

რეჟისორი ს. ბოკაშვილი.

Дозволено Военной Цензурой სტამბა „ორიბანი“